1 ᲫᲐᲜᲡᲘ

აღდ. კ. IV კვირა [IV] თ

წმ. იოსებ მშრომელი

2012 ᲡᲐᲭᲛᲐᲒᲐᲜᲘ

საქ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

უდის «ქვედა ეკლესიის» დღესასწაული.

ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ იო 10,27

ზოგჯერ ვჩივი ხოლმე იმის გამო, რომ უფლის ხმა არ მესმის. ამ დროს უნდა ვუხმო სწორედ თავმდაბლობას: იმის საღიარებლად, რომ, შესაძლოა, მისი სიტყვის მოსმენის მზადყოფნაში კი არ ვარ, არამედ სხვა სიტყვებით ვარ გატაცებული და მოცდენილი. ასეთ დროს საჭიროა მოთმინება: მოთმინება, რათა მივცე საშუალება გულს, შეიგრძნოს თავისი გვალვა და, მოწყურებული, გაიხსნას მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს მაცოცხლებელი სიტყვის მისაღებად.

როცა მის ხმას ვისმენ, ყოველი ჩემი საქმიანობა, გარჯა და ძალისხმევა ძვირფასია და ღმერთის კურთხევის ბეჭედს ატარებს.

საქ 12,24 - 13,5; ფს 66; იო 12,44-50

მე, ნათელი, მოვედი ქვეყნად იო 12,46

იესო მართლაც ის ნათელია, რომელსაც ძალუძს ყველაზე უიმედო ვითარების გასხივოსნება, მათ შორის ისეთი ვითარებისა, სადაც ადამიანური ძალები უძლურია. გეთაყვანები, უფალო იესო, რადგანაც შენთან ერთად მართლაც უსაფრთხოდ ვარ ჩემი ცხოვრების გზაზე: შენ ხარ მაცხოვარი, მკვდრეთით აღმდგარი, შენ დაამარცხე სიკვდილი, — აგრეთვე ჩემი სიკვდილიც.

I კორ I5,I-8; ფს I8; იო I4,6-I4

ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის I კორ I5,3

დღეს შევეცდები, თვალწინ მედგას ეს სიტყვა — ის ჭეშმარიტება, რომელიც დამეხმარება, გავაცნობიერო, თუ რის ფასად დაუჯდა იესოს ჩემი პატიება, და, შესაბამისად, დამეხმარება ჩემს ცოდვათა გულის შემუსვრაში. უმთავრესად კი ეს სიტყვები დამეხმარება, გავიზარდო იესოს სიყვარულის ჭვრეტით, ჩემდამი მისი ესოდენი სიყვარულის სიხარულით, და, მაშასადამე, მისდამი მადლიერების გამოხატვით ცხოვრების სურვილით.

4 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ყ. IV კვირა [IV] თ

2012 ᲯᲐᲠᲩᲐᲚᲫᲔᲑᲘ

საქ 13,26-33; ფს 2; იო14,1-6

ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი საქ 13,30

იესო, შენ, ვინც იცნობდი მამას, მას უდიდესი ნდობა გამოუცხადე: სიკვდილშიც კი მიენდე მას, და სიყვა-რულით მიიღე სიკვდილი. და იმედი არ გაგიცრუვდა! მსურს, შენგან ვისწავლო მამა ღმერთისთვის ჩემი ცხოვრების მინდობა, მსურს, შენს მსგავსად, შვილი-ვით ვიცხოვრო და მოვკვდე! მამა ჩემშიც იმოქმედებს სიყვარულის თავისი ყოვლისშემძლე ძალით! ალელუია!

5 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ყ. IV კვირა [IV] თ

2012 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

საქ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

მე მამაში ვარ და მამა ჩემშია იო14,11

უფალო იესო, დღეს მიხმობ, მოგენდო შენ და შენს სიტყვებს! ხშირად მსჯელობები მაშორებს შენგან, შენი გზებისგან, მამის ნებისა და ჩემთვის რისი ბოძებაც გინდა, იმის მარტივად მიღებისგან. დღეს მსურს, შენ მოგაპყრო მზერა და ვუმზირო, როგორ ცოცხლობ მამაში, მუდამ აკეთებ იმას, რასაც ის იწონებს, და როგორ ცოცხლობს ის შენში, უყვარხარ და გამხნევებს.

6 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

პასექის V კვირადღე, «ბ» [I] თ

2012 ᲗᲕᲘᲡᲘ

საქ 9,26-31; ფს 21; Iიო 3,18-24; იო 15,1-8

ვინც ჩემში რჩება და მე მასში, ბევრი ნაყოფი გამოაქვს იო 15,5

ვაზის სურათი ძალიან მეტყველია. თუ ნაყოფი მსურს, მაგრამ არ ვრჩები შენთან ერთობაში, ვერ განვახორ-ციელებ იმას, რაც მსურს. თუ შენ გეძიებ, თავს ძალას ვატან, რომ შენში დავრჩე, თუ შენს სულს გავყვები, შენ ჩემში დარჩები და მაშინ მე ბევრ ნაყოფს გამოვიღებ შენი სასუფევლისთვის: ნაყოფს მამის სადიდებლად.

7 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ყ. V კვირა [I] თ

2012 ᲛᲬᲕᲐᲜᲐᲛᲘ

საქ 14,5-18; ფს 113; იო 14,21-26

ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს იო 14,23

როცა იესო მიყვარს, შემიძლია მისი სიტყვისამებრ ცხოვრება, მაშინაც, როცა ეს გარკვეული საფასურის გაღებას ნიშნავს. იესოს სიყვარული ნიშნავს უპირატესობის მინიჭებას მისთვის, და არა ჩემი სურვილების, გეგმების, გრძნობებისა თუ იდეებისთვის. ეს ნიშნავს, ის და მისი სიბრძნე ჩემზე და ჩემს ნამდვილ თუ მოჩვენებით „საჭიროებებზე“ უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიო.

გმადლობ, იესო, მრავალი შესაძლებლობისთვის, რასაც მაძლევ შენდამი ჩემი სიყვარულის გამოსავლენად და, უმთავრესად, შენი სულიწმიდის შეწევნისთვის ამ... ძნელ საქმეში!

8 ᲫᲐᲜᲘᲡᲘ

აღდ. ყ. V კვირა [I] თ

2012 ᲡᲐᲭᲛᲐᲒᲐᲜᲘ

საქ I4,I9-28; ფს I44; იო I4,27-3I

მივდივარ და დავბრუნდები თქვენთან იო I4,28

იესო, შენ კარგად იცი, რომ შენს გარეშე არაფერი შეგვიძლია! როცა ამბობ, რომ მიდიხარ, ამავე დროს გვპირდები, რომ დაბრუნდები... შენ მიდიხარ მამასთან, ვინც ყველაფერია შენთვის, და ჩვენ კმაყოფილები ვართ. მაგრამ ჩვენ მაინც გელით, რადგანაც უშენოდ მართლა არ ძალგვიძს გავაკეთოთ რაიმე სასარგებლო შენი სასუფევლისთვის.

საქ I5,I-6; ფს I2I; იო I5,I-8

ფაშიზმზე გამარჯვების დღე

უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ იო I5,5

იესო, შენი სიყვარულისთვის ვდგები და შენთან ერთად ვამზადებ სადილს ჩემი შვილებისთვის.
იესო, დამეხმარე, გავუღიმო იმ ადამიანს, რომელიც გუშინ უხეშად მოექცა: მას მამის სიყვარული ესაჭიროება.
ეს არ არის გაზვიადება! იესო კმაყოფილია მუდამ ჩვენთან ყოფნით: ეს არის ჩვენი ცხოვრების მშვენიერება და ნაყოფიერება.

10 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ყ. V კვირა [I] თ

2012 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

საქ15,7-21; ფს 95; იო15,9-11

მოსეს რჯულს ძველთაგანვე ჰყავს მქადაგებელი ყველა ქალაქში საქ 15,21

ეს განაცხადეს მოციქულებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისთვის ლოცვის შემდეგ. ამით მათ მოსეს დაკნინება როდი უნდოდათ, არამედ სურდათ დაეხუსტებინათ ეკლესიისთვის მინდობილი არსებითი, ხელშეუვალი და დაურღვეველი გამოცხადება: იესოს და მხოლოდ მისი წყალობით ხსნა ყველა ადამიანისთვისაა მისაწვდომი. ქრისტიანი ებრაელებს და იცავს ყოველივე კეთილს, მაგრამ არ დაუშვებს, რომ რაიმე ღირებულებამ დაიკავოს პირველი ადგილი — უფლისა და ყოველთა მაცხოვრის ადგილი.

11 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ყ. V კვირა [I] თ

2012 ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲬᲐᲠᲛᲝ

საქ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

თქვენ ჩემი მეგობრები ხართ იო 15,14

რომელი ღმერთია ჩვენი ღმერთივით კეთილი? ჩვენ ღმერთს მამას ეძახიან, ის კი შვილებს გვიწოდებს, ის არის ღმერთი, რომელიც განკაცდა და ჯვარს ეცვა ჩვენი სიკვდილის დასამარცხებლად, ღმერთი, რომელიც გვიბოძებს თავის სულიწმიდას, რათა დავრჩეთ მასთან თანაზიარებაში, როგორც მეგობრები.

გმადლობ, იესო, რომ გსურს, ვიყო შენი მეგობარი.

12 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

2012 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. V კვირა [I] თ
წმმ. ნერეოს და აქილევსი, წამ. †IIIს.;
წმ. პანკრაციუსი, წამ. † 304

საქ I6,I-I0; ფს 99; იოI5,I8-2I
წმ. ანდრია მოციქულის ხსენება მართლმ. ეკლესიაში

ეკლესია კი მტკიცდებოდა რწმენით საქ I6,5

სულიწმიდავ, კვლავაც მოდი ეკლესიაში, მოდი ჩვენს ოჯახში, ჩვენს საკრებულოში! თითოეულის პირადი ძალისხმევის წყალობით, როგორც პირველი ქრისტიანები, ერთად ვეძიებთ ქრისტეს რწმენას: ერთად შევწირავთ მას მადლობას, ერთად ვიშრომებთ მისი სასუფევლისთვის, ერთად დაველოდებით მას, შენს სიხარულში ვიცხოვრებთ, იესო!

13 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

პასექის VI კვირადღე, «ბ» [II] თ

2012 ᲗᲕᲘᲡᲘ

საქ 10,25-26.34-35.44-48; ფს 97; Iიო 4,7-10; იო 15,9-17

თქვენ არ აგირჩევივართ, არამედ მე აგირჩიეთ თქვენ იო 15,16

ეს სიტყვები მშვიდობას, რწმენას და ნუგეშს გვანიჭებს. მშვიდობას, რადგანაც... რამდენი ეჭვი და ორჭოფობა გვახასიათებს ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში! იესოს არჩევანი კი, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, ყოველთვის სწორია. იესო რწმენით აღგვავსებს, რადგანაც, თუ მან აგვირჩია, თავადვე მოგვცემს ყოველივე აუცილებელს, რათა გავყვეთ მას და შევასრულოთ დავალებები, რომელთაც გვაკისრებს; ხოლო ნუგეშს გვაძლევს, რათა ვიგრძნოთ მისი ხელმძღვანელობა, სიყვარული, დაფასება, მიუხედავად ჩვენი სიმცირისა და სისუსტისა.

14 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

წმ. მატათია მოციქული (დ) [ს] წ

2012 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

საქ 1,15-17.20-26; ფს 112; იო15,9-17

ამას გიდებთ მცნებად,
რათა გიყვარდეთ ერთმანეთი იო 15,17

საკმარისია, იესოს მხოლოდ ეს მცნება მახსოვდეს! არა-და, რა ადვილად ვიბნევი უამრავ მეორეხარისხოვან წე-სებში, ხოლო არსებითი მავიწყდება.
მოდი, სულო წმიდავ, შენ, ვინც ნათელი მიეც მოციქულ მატათიას არჩევისას: მუდმივად შემახსენე ჩემდამი იესოს სიყვარული, და ნაბიჯ-ნაბიჯ გამაგებინე, თუ როგორ შე-მიძლია გადავცე ის სხვებს სიბრძნითა და ჭეშმარიტებით.

15 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VI კვირა [II] თ

2012 ᲡᲐᲮᲐᲜᲐᲗᲘ

საქ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

იწამე უფალი იესო და გადარჩებით საქ 16,31

**ხსნის შესახებ ციხისმცველის შეკითხვას პავლე მარტივ
და მტკიცე პასუხს სცემს: „იწამე“.
დიახ, იესო, მწამს შენი,
მწამს შენი სიყვარული,
მწამს, რომ მკვდრეთით აღდექი,
მწამს, რომ მხოლოდ შენ შემინდობ.
მხოლოდ შენგან მოდის სიცოცხლის სისრულე.**

16

2012

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VI კვირა [II] თ (3.V) წმ. მამაი კათალიკოსი; (3.V) ღირ. მა-მანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი

ᲛᲝᲙᲨᲐᲑᲐᲗᲘ

საქ 17,15.22 - 18,1; ფს 148; იო 16,12-15

ერთიდან შექმნა ადამიანთა ყოველი ტომი საქ 17,26

წმიდა პავლე მოკლედ ჰყვება დახსნის საღვთო ისტორიას არეოპაგოსში, წარმართული ათენის პოლიტიკურ, რელიგიურ და კულტურულ ცენტრში. მრავალრიცხოვანი დამსწრენი უსმენენ, თუმცა, იესოს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის გამოცხადებისას მსმენელთა უმრავლესობა გადის... მხოლოდ რამდენიმე ადამიანს სწამს და იესოს ემხრობა.

გმადლობთ, იესო, რომ, მრავალთა შორის, ჩვენც აგვირჩიე შენი ფარის წევრებად. ეს ფარა ჯერ პატარაა, მაგრამ მას შენ უძღვები წინ: ამიტომაც ის ძვირფასია ყველა ხალხისთვის.

17

2012

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ბ» [ს] თ

ცალკეულ საძრევლოებში შეიძლება აღინიშნოს კვირადღეს

ᲙᲣᲛᲨᲐᲜᲐᲗᲘ

საქ 1,1-11; ფს 46; ეფ 4,1-13; მარ 16,15-20

ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება მარ 16,16

უფალო იესო, დღეს შენს დიდებაში გიმზერთ! გმადლობთ შენი რწმენის ნიჭისთვის! გმადლობთ ნათლობის კონკრეტული და ქმედითი ნიშნისთვის, რომლის მეშვეობითაც შენი სხეულის, ეკლესიის ცოცხალ წევრებად ვიქეცით! შენი წყალობით შეგვიძლია სიხარულში ვიცხოვროთ. ჩვენც გვაქციე შენი სიყვარულის იარაღად!

18 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VI კვირა [II] თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, † 526

2012 ᲯᲣᲛᲣᲡᲯᲔᲨᲘ

საქ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

ნუ შეგეშინდება, არამედ ილაპარაკე და ნუ დადუმდები საქ 18,9

პავლემ განსაკუთრებით იღვაწა სახარების გასავრცელებლად. მას შემდეგ, რაც იესო გაიცნო, ყოველი შესაძლებლობით სარგებლობდა მასზე სასაუბროდ. თუმცა, პავლეც კი არ იყო დაზღვეული იმედგაცრუებისა და შინაგანი ბრძოლისგან... იესო შეეწია მას, ანუგეშა, განამტკიცა ის მამის ნებაში. გმადლობ, იესო, რომ არ ტოვებ მარტო მას, ვინც შენი სასუფევლისთვის იღვაწა! შენ ჩემს გვერდითაც ხარ; არ მეშინია და ნებას გრთავ, „გამომიყენო“ შენს იარაღად.

19 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VI კვირა [II] თ

სულთმოფენობის ნოვენა

2012 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

საქ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

ვინაიდან თვით მამას უყვარხართ იო16,27

ერთადერთი საშუალება, მოვეწონოთ მამას იესოს სიყვა-რული და მისი სიტყვის დაცვაა. მართლაც, როცა იესოს ვიღებთ, ძისადმი მიმართული მამა ღმერთის სიყვარული ჩვენც მოგვიცავს: მაშინ ჩვენი სიცოცხლე სრულია და მამა ჩვენი სიხარულით ხარობს.

20 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

პასექის VII კვირადღე, «ბ» [III] თ

2012 ᲙᲕᲘᲠᲐ

საქI,15-I7.20ა.20გ-26; ფსI02; Iიო4,II-I6 იოI7,IIბ-I9

მამაო, დაიცავი შენი სახელით, ვინც მე მომეცი (იო I4, 2)

ღმერთო, სიცოცხლის დაუშრეტელო წყაროვ,
რომელმაც შეიწყნარე წუთისოფლის სახსნელად
შეწირული შენი ძის ძღვენი,
გვაკურთხე ჩვენ ერთობაში, რაც შენი სულის ნიჭია,
რათა დავრჩეთ მუდამ შენს სიყვარულში
და ვიქცეთ აღდგომის მოწმეებად.

21

2012

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VII კვირა [III] თ
წმ. ქრისტოფორე მაგალანეს ხუცესი და
მეგობარნი, წამებულნი.† 1927 ს.

ᲛᲬᲨᲐᲜᲐᲨᲘ

საქ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

სოფელში გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით იო 16,33

პრობლემებიცა და სირთულეებიც იესოსთვის ღვაწლის, მისთვის ცხოვრების ნაწილია. ამას თავად იესო მაძცნობს. და ის არც სირთულეებისათვის თავის არიდების გზას მი-თითებს... მხოლოდ მაშხნევებს. და ჩემს გვერდით დგება, რათა ყოველგვარ ვითარებაში მიხელმძღვანელოს. გმადლობ, იესო, შენ ხარ ნათელი და ძალა. შენშია გა-მარჯვება.

22 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VII კვირა [III] თ
წმ. რიტა კასციადან, † 1447
(9.V) წმ. შიო მღვიმელი. (VIს.)

2012 ᲡᲐᲭᲛᲐᲒᲐᲜᲘ

საქ 20,17-27; ფს 67; იო17,1-11

ვემსახურებოდი უფალს სრული თავმდაბლობით საქ 20,19

პავლემ მართლაც დიდი სამსახური გაუწია შენს საუფეველს და მთელი თავისი ძალები შენი სიტყვის გავრცელებას მოახმარა. მან ეს თავმდაბლად გაკეთა, დარწმუნებულმა, რომ შენი მადლი მოქმედებდა. დღეს მეც შემიძლია ვიყო შენი სიყვარულის იარაღი, მაგრამ მსურს, ეს მხოლოდ შენთვის, მხოლოდ მამის სადიდებლად მოხდეს.

23 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VII კვირა [III] თ

2012 ᲗᲕᲔᲨᲘᲜᲐᲜᲘ

საქ 20,28-38; ფს 67; იო17,11-19

მე მათ მივეცი შენი სიტყვა იო 17,14

შენ ყოველდღე მესაუბრები, იესო. ყოველდღე გაქვს საოქმელი მამისაგან. ყურადღებით ვარ, რადგანაც შენი სიტყვა სიცოცხლეა, ხსნაა ჩემთვის. არ მსურს, ხელიდან გავუშვა შენი მოსმენის შესაძლებლობები.

საქ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო17,20-26

მამა ივანე გვარამაძის მოხსენიება († 1912)

მე ვაუწყე მათ შენი სახელი იო 17,26

ამგვარად ავკამებს იესო თავის ამქვეყნიურ ცხოვრებას! გმადლობთ, იესო! გმადლობთ იმისთვის, რომ კვლა-ვაც ყოველდღიურად გვეუბნები, რომ გვყავს ღმერთი, რომელიც ჩვენთვის არის მამა, ჩვენ რომ გვინდომა და რომელსაც სამარადისოდ ვუყვარვართ! შენსავით, მეც ვეტყვი ამას დღეს ჩემს ახლობლებს: ღიმილით ვეტყვი!

25

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

აღდ. ჟ. VII კვირა [III] თ

წმ. ბედა ღირსი, სტ. და ეკ. მძღ.†735; წმ. გრიგოლ VII, პაპი †1085; წმ. მარია მაგ. დე პაცი, ქ.†1607

2012

ᲮᲣᲗᲣᲜᲯᲔᲨᲘ

საქ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

სიმონ იოანესავ, გიყვარვარ? იო 21,17

იესოს განსაკუთრებული დავალება უნდა დაეკისრებინა პეტრესთვის: თავისი სხვა მოწაფეების მხარდაჭერა და გაძღოლა. ამისათვის პეტრეს მხოლოდ ერთ რამეს ეკითხება, სამჯერ: ეკითხება, უყვარს თუ არა ის პეტრეს... იმ მცირე დავალებების შესასრულებლად, რომელთაც იესო მე მავალებს თავის ეკლესიაში, მეც ვეცდები, უპირველესად მისდამი ჩემი სიყვარული ვასაზრდოვო, ყურადღებით მოვეკიდო მის ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნას, მის ნებას.

26 ᲛᲐᲡᲘ

2012

აღდ. ყ. VII კვირა [III] თ
წმ. ფილიპე ნერი (მ) †1595;
(13.V)წმ. ღირ. ექვთიმე ათონელი, († 1028წ.)

ᲛᲐᲠᲢᲘ

საქ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

შენ მე გამომყევი იო 21,22

გმადლობ, იესო! შენ თითოეულ ჩვენგანთან განსაკუთრებული, განუმეორებელი ურთიერთობა გაქვს: პირადი და განუყოფელი სიყვარული! არ დავიწყებ თავის შედარებას ჩემი ძმების ნიჭებთან, მსახურებასთან, გზასთან: მხოლოდ შენ შემოგხედავ, იესო, მხოლოდ შენი სიყვარულით კმაყოფილი, შენს წინამძღოლობას მონდობილი!

27 ᲛᲫᲘᲡᲘ

სუთმოფენობა (დდ), «ბ» [ს] წ

2012 ᲫᲛᲘᲬᲘ

საქ 2,1-11; ფს 103; გალ 5,16-25; იო 15,26-27;16,12-15

თქვენც დაამოწმებთ იო 15,27

იესო დაგვპირდა სულიწმიდას და დღეს უგზავნის მას თავის მოციქულებს: ის ჩვენც მოგვივლენს სულიწმიდას ყოველთვის, როცა მორჩილებით მივუძღვნით მას ჩვენს თავს. და სულიწმიდა, თავისი ნიჭებით, ღვთის ძის სიკეთისა და მშვენიერების მოწმეებად გვაქცევს.

28 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

რიგ. კ. VIII კვირა [IV] მწ

2012 ᲛᲔᲩᲕᲐᲜᲐᲗᲘ

I პეტ I, 3-9; ფს I10; მარ10, I7-27

არ გიხილავთ და გწამთ I პეტრ I,8

წმ. პეტრე ამგვარად აქებს მათ, ვინც მოციქულთა მოხმობით მივიდა რწმენასთან, უფლის უშუალოდ ხილვის გარეშე. ჩვენც ვახარებთ მოციქულთა გულებს და თვით მამა ღმერთის გულს იესოსადმი სიყვარულის ყოველი გამოხატულებით, მისი სიტყვისადმი რწმენაზე დამყარებული ყოველი დამორჩილებით. ამგვარად ჩვენ უკვე აქ, დედამიწაზე შეგვიძლია ვიგემოთ ის სიხარული, რომელსაც თავის სისრულეში მამა ღმერთი სასუფეველში გვიმზადებს!

I პეტ I,I0-I6; ფს 97; მარ I0,28-3I

აჰა, ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და შენ გამოგყევით მარ I0,28

უფალო იესო, შენ ასმაგს ჰპირდები მათ, ვინც ყოველივე მიატოვა და შენ გამოგყვა. რა ცხოვრებისეული გზითაც არ უნდა მოგყვებოდეთ, მოგვმადლე, საკუთარი თავისაგან გათავისუფლება, რათა შენი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნისა და შენი სახარების უფრო ნამდვილ ნიშნად ვიქცეთ წუთისოფელში. შენა ხარ ის უპოვარი, ღმერთმა რომ განადიდა სამარადისოდ და ცოცხლობ და სუფევ უკუნითი უკუნისამდე.

30 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

რიგ. კ. VIII კვირა [IV] მწ

2012 ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘ

1პეტ 1,18-25; ფს 147; მარ 10,32-45

რა გინდათ, რომ შეგისრულოთ მარ 10,36

იესო, დროდადრო მეც მოვდივარ შენთან თხოვნით: შენ მისმენ. ზოგჯერ, შენი ბრძენი და მზრუნველი სიყვარულით, საჭიროდ მიიჩნევ არ მომცე, რასაც გთხოვ... თუმცა, შენთან მოსვლით უკვე მივიღე შენგან სულიწმიდა, სიცოცხლე და ღვთის ძის სიყვარული. გმადლობ, იესო!

31

2012

ᲛᲐᲘᲡᲘ

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება(დ)
(18.V) წმ. მოწამენი დავითი და ტარიჭანი

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

სოფ 3,14-18 (ან.: რომ 12,9-16); ფს: ეს 12,2-6; ლკ1,39-56

გიყვარდეთ ერთურთი რომ 12,10

მარიამ, შენ მამის გულის შესატყვისად იცხოვრე და იესოს ხმას უსმინე: მუდამ მდაბალი, ფარული, დაუზარელი სიყვარულით მოქმედებდი. როცა მამის სიყვარული გვწამს, ჩვენც მდაბალნი ვხდებით და ძმათა მსახურება გვიხარია. და ამგვარად, შენ გემსგავსებით, მარიამ, როგორც ნამდვილი ძენი!